ახალი ხარაგაული

383 (14) 24 ივლისი, 2018 წ.

ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსება შესაძლოა, გაიზარდოს

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ თოფურიძემ ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენლებთან მორიგი სამუშაო შეხვედრა გამართა. მერმა მოსახლეობისათვის აქტუალური საკითხები განიხილა და სამომავლო გეგმებზე ისაუბრა. „შესაძლოა, ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსებისთვის ხარაგაულს დამატებით თანხები გადმოეცეს. ვგეგმავთ შეხვედრას რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრთან. თუ თანხების დამატება მოხდა, მას, რა თქმა უნდა, გარდამავალ პროექტებზე მივმართავთ," - განაცხადა ნიკოლოზ თოფურიძემ.

ხარაგაულის მერმა ასევე მოისმინა ინფორმაცია მიმდინარე პროექტების შესახებ და ხაზგასმით აღნიშნა, რომ მთავრობის პრიორიტეტი სოფლებში ინფრასტრუქტურის მოწესრიგებაა და ამ პროცესის გაგრძელებას ხელს ვერაფერი შეუშლის. მისივე თქმით, ცენტრალური გზების მოწესრიგების შემდეგ, საუბნო გზების რეაბილიტაცია დაიწყება.

თათბირზე საუბარი შეეხო ასევე ძირულა-ხარაგაული-მოლითის გზის რეაბილიტაციას. ნიკოლოზ თოფურიძის ინფორმაციით, იგი პირადად აწარმოებს მოლაპარაკებებს აღნიშნული გზის მშენებელ კომპანიასთან, რათა 25- კილომეტრიანი მონაკვეთის რეაბილიტაცია ორ ლოკაციაზე დაიწყოს. სავარაუდოდ, ეს იქნება ძირულა-ხარაგაულისა და საღანძილე-მოლითის მიმართულებით.

შეხვედრაზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სოფლებში მგლების მომრავლების ფაქტს. მერის ინფორმაციით, მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახურის მიერ დაუყოვნებლივ გაიგზავნა წერილი სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის სამინისტროში. თანხმობის მიღების საფუძველზე, შეიქმნება სპეციალური ჯგუფი, რომელიც მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით მოახდენს 10 მგლის ლიკვიდაციას.

სტიქიის შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურის აღდგენა მუნიციპალიტეტში აქტიურად მიმდინარეობს

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ უბისაში, მდინარე ძირულას ნაპირზე, გაბიონები მოეწყო. აღნიშნული პროექტი სტიქიის განვითარების ფონდიდან 22 000 ლარით დაფინანსდა. მნიშვნელოვანია, რომ წყალმოვარდნის შემთხვევაში სანაპიროს მიმდებარედ მცხოვრებ მოსახლეობას საფრთხე აღარ ემუქრება. გარდა ამისა, გაბიონები გაკეთდა ხემაღალში. პროექტის ღირებულება 8, 913 ლარია. სტიქიის ფონდიდან მოეწყო სანიაღვრე არხი სოფელ საქასრიაში, რომლისთვისაც 11 000 ლარი დაიხარჯა. ასევე წყალაფორეთის ადმინისტრაციულ ერთეულში აღდგენილია გზები ჭონიშვილების უბანში, ბუდიანეთის ტბასთან, ჭუმბაძეების წისქვილთან და წყაროსთან, ლახუნდარაში კი - ყიფიანების უბანში. მობეტონდა ვარძიის ამორტიზებული გზაც, აღნიშნულ გზაზე ორი ხიდ-ბოგირი მოეწყო.

მნიშვნელოვანია, რომ სტიქიის მუხლით ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მასშტაბით აღდგენილია ხიდები და ხიდ-ბოგირები, რეაბილიტირებულია გზები, მოწყობილია სანიაღვრე არხები და საყრდენი კედლები. საერთო ჯამში სტიქიის შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურული ობიექტების სარეაბილიტაციოდ მუნიციპალიტეტს სახელმწიფო ბიუჯეტის სტიქიის ფონდიდან პირველ ეტაპზე 700 ათასი ლარი, ხოლო მეორე ეტაპზე 1 650 000 ლარი გამოეყო. თანხები თითქმის ათვისებულია და სამუშაოების 80% დასრულებულია.

დასრულებული სამუშაოები ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ თოფურიძემ, პირველმა მოადგილე არჩილ მაღრაძემ დაათვალიერეს. ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები მოსახლეობასაც შეხვდნენ და სოფლებში არსებულ მდგომარეობას გაეცნენ.

საპრივატიზაციო ობიექტთა ნუსხაში ცვლილებები შევიდა

16 ივლისს ბიუროს სხდომაზე დეპუტატებმა საპრივატიზაციო ობიექტთა ნუსხაში შესატან ცვლილებებზე იმსჯელეს. საკითხი ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა ჯაბა ბერაძემ წარმოადგინა. ბერაძის ინფორმაციით, ლიცენზირებული აუდიტის დახმარებით აღირიცხა მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული ტექნიკა და საპრივატიზაციო ობიექტთა ნუსხას თერთმეტი სატრანსპორტო საშუალება და სოფელ ბორითში სავაჭრო ცენტრის 39,36 კმ.მ ფართი დაემატა.

აღნიშნულთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრება დააფიქსირა საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ვარლამ ჭიპაშვილმა. მისი თქმით, მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული ქონების აღრიცხვა დიდი ხნის წინ უნდა მომხდარიყო, რადგან ამ დრომდე არაერთი მუნიციპალური ქონება გაიძარცვა და მწყობრიდან გამოვიდა.

დეპუტატი თემურ ფცქიალაძე დაინტერესდა, თუ რა თანხას შეადგენს საერთო ჯამში განსახილველად წარმოდგენილი საპრივატიზაციო ობიექტები. მისივე თქმით, მნიშვნელოვანია საპრივატიზაციო ნუსხაში წარმოდგენილი ქონების შესწავლა და ფინანსური ანალიზი, რათა დადგინდეს, რა თანხები დაიხარჯა თავის დროზე ტექნიკის შესყიდვაზე და რამდენით დაზარალდა ბიუჯეტი.

ამავე სხდომაზე ჯაბა ბერაძემ წარმოადგინა კომპანია „მაგთიკომზე " ელექტრო საყრდენი ბოძების 10 წლის ვადით იჯარით გადაცემის საკითხი. როგორც ბერაძემ განმარტა, „მაგთიკომი" ბოჭკოვანი კაბელის

გასაყვანად ელექტრო საყრდენის (ბოძის) იმ ნაწილის, რაც კაბელის დასამაგრებლადაა საჭირო, 10 წლის ვადით პირდაპირი განკარგვის ფორმით (იჯარით) გადაცემას ითხოვს. ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის თქმით, მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მოხდა არსებული ხაზოვანი ნაგებობის წლიური საიჯარო ქირის განსაზღვრა 1,92 ლარით და 250 წერტილზე წლიურად აღნიშნულ კომპანიას 480 ლარის გადახდა დაეკისრა.

დეპუტატებმა ასევე იმსჯელეს ლაშის საჯარო სკოლისათვის წმინდა მღვდელმოწამე სიმონ მჭედლიძის სახელის მინიჭების თაობაზე. საკრებულოს აპარატის უფროსის, ლენა კალანდაძის, ინფორმაციით, სკოლა აღნიშნულ სახელს ატარებდა, თუმცა ტექნიკური ხარვეზის გამო სახელწოდება გაუქმდა.

შეგახსენებთ, რომ აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით დეპუტატები ვრცლად 6 აგვისტოს გამართულ საკრებულოს მორიგ სხდომაზე იმსჯელებენ და შესაბამის გადაწყვეტილებას მიიღებენ.

იმერეთში ინფრასტრუქტურული პროექტების მასშტაბურობით ხარაგაული ლიდერობს

იმერეთის სამხარეო ადმინისტრაციაში გამართულ თათბირზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ ქუთაისის შემდეგ, იმერეთის მუნიციპალიტეტებში ინფრასტრუქტურული პროექტების მასშტაბურობით ხარაგაული ლიდერობს.

2018 წელს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქვეყნისთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ორი მასშტაბური პროექტის განხორციელება იწყება. ესენია: ხევი-უბისის მონაკვეთზე(51კმ) ავტობანის მშენებლობა და ძირულა-ხარაგაული-მოლითი-ჩუმათელეთის 50 კმ.-იანი მონაკვეთის კაპიტალური რეაბილიტაცია. აღნიშნული პროექტები მსოფლიო ბანკისა და აზიის განვითარების ფონდიდან ფინანსდება და აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული მაგისტრალის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მონაკვეთს შეადგენს.

რაც შეეხება მუნიციპალიტეტის შიდა ტერიტორიაზე მიმდინარე გზების რეაბილიტაციას, გაცნობებთ, რომ ხარაგაულს წელს რეგიონული განვითარების ფონდიდან 22 ინფრასტრუქტურული პროექტის განსახორციელებლად 5,5 მილიონი ლარი გამოეყო.

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მუნიციპალიტეტის მერის, ნიკოლოზ თოფურიძის, აქტიური მუშაობითა და ძალისხმევით, ხარაგაულს დამატებით გამოეყო ნახევარ მილიონ ლარზე მეტი, რითაც 5 პროექტი დაფინანსდება და რეაბილიტაცია ჩაუტარდება დაბაში მდებარე 11 სკვერს, ბეტონის საფარი დაიგება ხიდარში(შარიქაძეების უბანი), ბაზალეთში(ნანიტაშვილების უბანი), ვარძიასა და ხემაღალში.

ყურადსაღებია ისიც, რომ ტენდერი უკვე გამოცხადებულია და წელსვე დაიწყება სამუშაოები სოფელ ბჟინევში, რომელიც მთის განვითარების ფონდიდან 357 000 ლარით დაფინანსდა და საერთო ჯამში 3კმ. გზას კაპიტალური რეაბილიტაცია ჩაუტარდება.

სარაგაულში სუმოს საერთაშორისო ჩემპიონატი ჩატარდა

ხარაგაულში, საქართველოში პირველად, ტოჩინოშინისა და გაგამარუს მხარდასაჭერად, სუმოს სამოყვარულო ჩემპიონატი ჩატარდა. „დევების ბაშო" - ასე ეწოდა ტურნირს, რომელიც ხარაგაულის ახალგაზრდა ინიციატორთა კავშირის ინიციატივითა და მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით, ე.წ. დევების მიმდებარე ტერიტორიაზე, მდინარე ჩხერიმელას სანაპიროზე, გაიმართა.

„დევების ბაშო 2018 -ის" გამარჯვებული ლადო არევაძე გახდა. 18 წლამდელთა შერკინებაში კი, გამარჯვება მიხეილ ღონღაძემ მოიპოვა. გამარჯვებულები ფულადი და სხვადასხვა სახის პრიზებით დაჯილდოვდნენ. მერიის მიერ დაწესებული პრიზი გამარჯვებულს პირადად მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ თოფურიძემ გადასცა.

ჩემპიონატს იმერეთის მხარის რწმუნებულის-გუბერნატორის მოვალეობის შემსრულებელი, გრიგოლ დალაქიშვილი, ვიცე-გუბერნატორი იოსებ ხახალეიშვილი, ხარაგაულის მერი, ნიკოლოზ თოფურიძე, მერის მოადგილეები და მოწვეული სტუმრები დაესწრნენ.

აღსანიშნავია, რომ „დევების ბაშო" სუმოს პოპულარიზაციისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებისთვის ხარაგაულში ტრადიციად იქცევა და ყოველწლიურად გაიმართება.

გვერდი მოამზადა ეკა შავიძემ

მაჩვილისი- სოფელი, ჩოქმელიკ განსცდაგმეული სილამაზით გამოიჩჩევა...

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელი მარელისი გამორჩეულია თავისი მდებარეობით, მცხოვრებლებით, ღირსშესანიშნაობებითა და სტუმარმასპინძლობით. ირგვლივ ლამაზად აღმართულია მთები, დაფარული ნაირ-ნაირი მცენარეებით. აქ ძალიან მშვიდი გარემოა, რომელსაც უპირველესად ბუნება ქმნის.

სოფელს ულამაზესი ტერიტორიული განლაგება აქვს უბნებად. აქ არის მაცხოვრისა (XIX-XXსს) და ღვთისმშობლის (XVIII ს) სახელობის ეკლესიები. მაცხოვრის ამაღლების სახელობის ტაძარი გასაბჭოების პერიოდში აქტივისტებმა თითქმის ნგრევამდე მიიყვანეს, თუმცა რამდენიმე წლის წინ გია მაღრაძის ხელმძღვანელობით და ადგილობრივი მოსახლეობის დიდი თანადგომით რესტავრაცია ჩაუტარდა და დღესდღეობით ტაძარში ყოველკვირეული წირვა-ლოცვა აღევლინება.

მარელისში არის ბორჯომ–ხარაგაულის ეროვნული პარკის მცველთა საგუშაგო და სასტუმრო ტურისტებისათვის. აქედან დაწყებული მარშრუტით შესაძლებელია ყველა იმ სილამაზისა და ისტორიული ტერიტორიების მონახულება, რომელიც ამ პარკს უკავშირდება. სტუმრებს შეუძლიათ, გადაადგილდნენ როგორც ფეხით, ასევე ცხენით გაისეირნონ, მოაწყონ ლაშქრობები, დაისვენონ და სასიამოვნო დღეები გაატარონ ამ ულამაზეს ხეობაში.

აქ ასევე შენდება თანამედროვე ხის სახლები, რომლებიც ტურისტებისთვისაა გათვლილი. ვფიქრობ, ეს მეტად მნიშვნელოვანი პროექტია, რადგან ეკონომიკური თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა აქვს ტურიზმის განვითარებას მუნიციპალიტეტში. სოფლად ძირითადად მარცვლეული კულტურა მოჰყავთ. ასევე განვითარებულია მეფრინველეობა, მეცხოველეობა, მეფუტკრეობა. მოსახლეობის უმრავლესობა სოფლის მეურნეობის პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლებით საზრდოობს.

შეიძლება ითქვას, რომ მარელისი მცხოვრებლებითაც გამორჩეულია, აქ არც ტრადიციებს ივიწყებენ და განვითარებისთვისაც ახალ-ახალ შესაძლებლობებს ეძებენ. ზაფხულობით დამსვენებელთა სიმრავლეა. ყველაზე მეტად მოხუცები მოგეწონებათ. მათი ამბებისა და ისტორიების მოსმენა დიდ სიხარულს მოგგვრით.

მარელისის საკალმახე მეურნეობა

სოფლის სიძლიერის ნიშანი მოწესრიგებული ინფრასტრუქტურაა. რკინიგზის სადგურიდან სოფლის ცენტრამდე მისასვლელი 4-კილომეტრიანი გზა მოასფალტებულია. ასევე ეტაპობრივად მიმდინარეობს შიდა საუბნო გზების რეაბილიტაცია. ცენტრალურ გზაზე მოწყობილია გარე განათებაც და უბნებში განთავსებულია ნაგვის შემკრები კონტეინერები.

სილამაზის მიუხედავად, არსებობს პრობლემებიც, რომელთა მოგვარების გზებზე ადგილობრივი ხელისუფლება აქტიურად მუშაობს. მაჟორიტარ დეპუტატ ნიკოლოზ მაღრაძეს, მერის წარმომადგენელს ლეღვნის ადმინისტრაციულ ერთეულში გელა მაღრაძეს და მერის წარმომადგენლის ასისტენტ ლევან მაღრაძეს სისტემატურად აქვთ მოსახლეობასთან ურთიერთობა, ადგილზე ეცნობიან მათ საჭიროებებს და შეძლებისდაგვარად დახმარებას უწევენ.

აქ არის საჯარო სკოლა, რომელმაც არაერთი სახახელო მოსწავლე აღზარდა. პედაგოგების მიერ მაღალ დონეზე მომზადებული საგნობრივი კონკურსები, ინტელექტთამაშები და სხვა მრავალი აქტივობა მრავალფეროვანს ხდის აღსაზრდელების ცხოვრებას. მარელისში ფუნქციონირებს ალტერნატიული სკოლამდელი განათლების ჯგუფი, რომელიც 3 - 5 წლის ასაკის აღსაზრდელებზეა გათვალისწინებული.

სოფლის დასაწყისში თვალში აუცილებლად მოგხვდებათ, თუ როგორ გადმოჩქეფს კამკამა წყალი ჩანჩქერიდან, ახლოს რომ მიხვალთ, აქ კალმახებსაც შეხედავთ. ეს საკალმახე მეურნეობა „ლომის მთაა“, რომელიც „ერთიანი აგროპროექტის“ ფარგლებში ზაზა სახვაძის თაოსნობით ამოქმედდა. ზაზა პროფესიით ქიმიკოსია, წარმოშობით ხაშურიდან გახლავთ. მარელისი ბებიის(მამის დედის) სოფელია და მთელი ბავშვობა აქ გაატარა. ძალიან უყვარს ეს სოფელი და საკალმახე მეურნეობის მოწყობაც სწორედ ამიტომ აქ გადაწყვიტა. თანამედროვე სტანდარტების საკალმახე მეურნეობა წლიურად 30 ტონა თევზს აწარმოებს და პროდუქციის რეალიზაცია ადგილობრივ ბაზარზე ხდება. საწარმო პროექტ „შეღავათიანი აგროკ-

მდინარე ბჟოლისხევი

რედიტის“ ბენეფიციარია და ჯამურად 280 000 დოლარის ინვესტიცია განხორციელდა, აქედან 130 000 დოლარი შეღავათიანი აგროკრედიტია, ხოლო 150 000 დოლარი ბენეფიციარის პირადი სახსრებია. შეიძლება ითქვას, რომ სოფლის ეს იდილიური სიმყუდროვე და სიმშვიდე ბევრს აოცებს. უკეთ შეგრძნებისთვის გირჩევთ, იმოგზაუროთ ამ პატარა მხარეში. დამერწმუნეთ, მარელისის ბუნება იმდენად თვალწარმტაცი და შთამბეჭდავია, აუცილებლად გაგიჩნდებათ შემდგომში ნახვის სურვილი.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ თოფურიძემ ვაშლევში გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები დაათვალიერა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტში გზების რეაბილიტაცია აქტიურ ფაზაშია. წესრიგდება პრობლემური მონაკვეთები და წლის ბოლომდე მუნიციპალიტეტის 22 სოფელს კეთილმოწყობილი გზები ექნება. ვაშლევში(გაღმა ვაშლევი), სადაც მოსახლეობას უგზოობის პრობლემა წლებია, აწუხებს, სულ მალე კომფორტულ გზაზე შეეძლება გადაადგილება. ბეტონის საფარი 1 000 მ-მდე მონაკვეთზე მოენყობა და პროექტზე 131 450 ლარი დაიხარჯება. აღსანიშნავია, რომ ვაშლევში პირველ ეტაპზე, სოფლის დედათა მონასტერთან 600- მეტრიანი მონაკვეთი გასულ წელს მობეტონდა.

მიმდინარე სამუშაოები მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ თოფურიძემ, მოადგილე არჩილ მაღრაძემ და არქიტექტურისა და ზედამხედველობის სამსახურის უფროსმა აფრასიონ ლურსმანაშვილმა დაათვალიერეს. როგორც ხარაგაულის მერი აცხადებს, ინფრასტრუქტურის მოწესრიგება სოფლის განვითარების წინაპირობაა და ადგილობრივი თვითმმართველობა მაქსიმუმს აკეთებს, რათა ყველა ადმინისტრაციული ერთეული იყოს გამართული და მოწესრიგებული.

შეგახსენებთ, რომ ვაშლევში გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები უახლოეს მომავალში დასრულდება და პროექტი რეგიონული განვითარების ფონდიდან დაფინანსდა.

ხარაგაულში რაგბის განვითარება იწყება

საქართველოში რაგბი ძალიან პოპულარულია, თუმცა სპორტის ეს სახეობა ხარაგაულში არასდროს ყოფილა. ბოლო პერიოდში კი მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელი პირების ინიციატივით, ამ მიმართულებით სერიოზული ნაბიჯები გადაიდგა და „ლელოს“ რაგბისტების - სანდრო ბერიძისა და ნიკა ბანცაძის -მეთაურობით სპეციალური პროგრამაც მუშავდება.

ხარაგაულელმა ახალგაზრდებმა, რომლებიც ამ სპორტში შვიდი წელია, ვარჯიშობენ, მეგობარ არჩილ კიკნაძესთან ერთად, ინიციატივა - ჩამოაყალიბონ ხარაგაულში რაგბის გუნდი - მუნიციპალიტეტის მერს, ნიკოლოზ თოფურიძეს, პირადად გააცნეს. შეხვედრას სპორტისა და შიდა ტურიზმის ცენტრის დირექტორი გრიგოლ ჭიპაშვილი ესწრებოდა.

როგორც აღინიშნა, პირველ ეტაპზე, ზაფხულის განმავლობაში, ახალგაზრდები ხარაგაულის საფეხბურთო სტადიონზე 8-იდან 17 წლამდე ასაკის მოზარდებს ავარჯიშებენ. მნიშვნელოვანია, რომ თავდაპირველად საჭირო ინვენტარის მომარაგებას თავად უზრუნველყოფენ.

ნიკოლოზ თოფურიძემ მათ სრული მხარდაჭერა აღუთქვა და აღნიშნა, რომ რაგბის ფედერაციასთან აუცილებლად დააყენებს საკითხს ხარაგაულში სარაგბო ინფრასტრუქტურის მოწყობის თაობაზე.

ვისაც გსურთ, აქტიურად გაატაროთ ზაფხული და დაეუფლოთ რაგბის წესებს, დარეკეთ შემდეგ ნომრებზე: 555 60 85 28 (ნიკა); 591 11 82 50 (სანდრო);

საკრებულოს თავმჯდომარემ, მანანა ბარბაქაძემ, სოფლის ბიბლიოთეკებს საჩუქრად წიგნები გადასცა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძემ ბორითის, ხევის, მარელისის, საბის, ღორეშის, ხიდრისა და ვარძიის ბიბლიოთეკებს საჩუქრად მხატვრული ლიტერატურა გადასცა. როგორც ქალბატონმა მანანამ აღნიშნა, პროექტის მიზანი მოზარდი თაობის განვითარების ხელშეწყობა და წიგნიერების ამაღლებაა. მისივე თქმით, სოფლებში მდიდარი ბიბლიოთეკის არსებობა უმნიშვნელოვანესია.

„ქართული ოცნების“ ხარაგაულის ახალგაზრდული ორგანიზაციის წევრები ჭუბერში მოსახლეობის დასახმარებლად ჩავიდნენ

„ქართული ოცნების“ ხარაგაულის ახალგაზრდული ორგანიზაციის წევრები და მოხალისეები სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახების დასახმარებლად ჭუბერში ჩავიდნენ. შესაბამის უწყებებთან კოორდინაციით, ახალგაზრდები გარემოსთვის მიყენებული ზიანის სალიკვიდაციო სამუშაოებში ჩაერთნენ, გაწმინდეს მდინარე ნენსკრას მარცხენა სანაპიროზე მდებარე საცხოვრებელი სახლები და ასევე ჰუმანიტარული ტვირთის დარიგების პროცესში მიიღეს მონაწილეობა. შეგახსენებთ, რომ სვანეთში, ჭუბერთან, მდინარე ნენსკრა ადიდდა და მთა ჩამოიშალა. ადიდებულმა მდინარემ წაიღო ხიდები, დაზიანდა გზები და დაიტბორა რამდენიმე სახლი. დაზარალებულთათვის ჰუმანიტარული დახმარება თითქმის ყველა რეგიონიდან გაიგზავნა. ამ პროცესებში აქტიურად იყო ჩართული იმერეთის 12-ვე მუნიციპალიტეტი.

გვერდი მოამზადა ეკა შავიძემ

„ყავაზე მისაყოლებელი ამბები“ - წიგნი, რომელიც ფიქრიან ღიმილს იწვევს მკითხველში

ხარაგაულში რომ კულტურული ცხოვრება საინტერესოდ და მრავალფეროვნად ვითარდება, ეს არახალია... არ იქნება გადაჭარბებული, თუ ვიტყვი, რომ მამუკა ჭიპაშვილი თავისი ნიჭით და განვლილი გზით ნამდვილად არის ერთ-ერთი გამორჩეული ხარაგაულელი, რომელიც დიდი ხანია, აქტიურად მონაწილეობს ჩვენი რაიონის საზოგადოებრივ და კულტურულ ცხოვრებაში. მრავალი საინტერესო იდეაა მის სახელთან დაკავშირებული, ჯერ კიდევ ორი ათეული წლის წინ ახალგაზრდულ საქმეთა დეპარტამენტს ჩაუდგა სათავეში. მეც ერთ-ერთი მომსწრე და თვითმხილველი ვარ, თუ როგორ შეძლო მაშინდელი ახალგაზრდა თაობის ქუჩიდან სცენაზე აყვანა... არც ისაა სიახლე, რომ მამუკა საკმაოდ კარგად წერს და მრავალი კარიკატურული ნახატის ავტორია, რომელიც წლების განმავლობაში ქვეყნდებოდა ადგილობრივ პრესაში. მართალია, თავს მწერლად არ მიიჩნევს და ზედმეტად თვითკრიტიკულიცაა, მაგრამ მთავარს ნამდვილად მიაღწია - მკითხველი მისთვის საგულდაგულოდ შერჩეულ თემებზე დააფიქრა. ახლახან გამოვიდა მისი მეორე კრებული „ყავაზე მისაყოლებელი ამბები“, რომლის პრეზენტაციაც ხარაგაულის ცენტრალური ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში, მისივე მეგობრის, მერიის კულტურის სამსახურის უფროსის ქალბატონი ირინე ჩხეიძის ორგანიზებით შედგა: „მამუკა უდავოდ ნიჭიერია და, ვფიქრობ, ასეთი ადამიანების დაფასება და ხელშეწყობა აუცილებელია. რა საქმესაც ხელს მოჰკიდებს, თავს ყოველთვის წარმატებულად ართმევს. მისი მეორე კრებულის პრეზენტაცია ჩემი იდეა იყო, რადგან აუცილებელი და საჭიროა ასეთი შეხვედრები ჩვენი საზოგადოებისთვის“, -აღნიშნა ქალბატონმა ირინემ.

საღამო საინტერესოდ წარიმართა და წიგნის ავტორმა საკუთარ თავში მწერლობისა და მხატვრობის ნიჭის აღმოჩენის კონკრეტული ფაქტები გაიხსენა, დამსწრე საზოგადოებას სახალისო ამბებიც მოუყვა. ლექსები და ნოველები წაიკითხეს მამუკას მეგობრებმა, შესრულდა მისი ერთ-ერთი საუკეთესო მეგობრის, აწ გარდაცვლილ ვეფხვია ღონღაძის, ლექსზე შექმნილი სიმღერა, რომლის მუსიკის ავტორი ქალბატონი თამარ ავალიშვილი გახლავთ. დარბაზში გამოფენილი იყო მამუკა ჭიპაშვილის ნახატებიც.

„წერა დიდი ხნის წინ დავიწყე. სტუდენტობის დროს მხიარულთა და საზრიანთა გუნდის წევრი ვიყავი და ხშირად მიწევდა ექსპრომტად ლექსების გარითმვა, ფელეტონების, სცენარების წერა, თუმცა, პრეტენზია სერიოზულად ვწერდი, არასდროს მქონია, ეს იყო მოყვარულის დონეზე“, - ამბობს ჩვენთან საუბარში ბატონი მამუკა და ლიტერატურულ კონკურს „ოდეონს“ იხსენებს:

„ კონკურსი საკმაოდ კარგ ფორმატში - ბუნებაში, ღამისთევით მიმდინარეობდა. თემას გვაძლევდნენ და მონაწილეებს იქვე უნდა დაგვეწერა მოთხრობა. ათი წლის განმავლობაში სამჯერ მოვიპოვე ამ პროექტში გამარჯვება... აღმოჩნდა, რომ წერა შემიძლია და გარკვეული პერიოდის მერე გამიჩნდა სურვილი, თავი მომეყარა სხვადასხვა დროს დაწერილი ჩემი ლექსებისა და ფელეტონებისთვის და კრებულის სახით გამომეშვა. რაც შეეხება ახალ კრებულს „ყავაზე მისაყოლებელი ამბები“ საკმაოდ კურიოზულ სიტუაციაში, 25 დღის განმავლობაში დავწერე. ძველით ახალ წელს გადავწყვიტე, თავი დამენებებინა სიგარეტისთვის და რამდენჯერაც მოწევა მომინდებოდა, ვირჩევდი, რაიმე ახალი დამეწერა. გამოვიდა სხვადასხვა ჟანრის ნოველები, საინტერესოდ და სახალისოდ წასაკითხი, თუმცა შეფასებით მკითხველი უკეთ შეაფასებს. იმაზე მეტი შექება და დადებითი ემოცია მივიღე, ვიდრე ველოდი... მადლობა მინდა, გადავუხადო ჩემს ერთგულ მკითხველს, მეგობრებს, ოჯახს, ასეთი ლამაზი და თბილი საღამო რომ მაჩუქეს.“ -დასძინა მამუკა ჭიპაშვილმა.

ახალ კრებულთან დაკავშირებით შეფასებები გააკეთეს განათლებისა და კულტურის სფეროში მოღვაწე ადამიანებმა, რომლებიც ბატონ მამუკას სამწერლო შემოქმედებას დიდი ხანია, თვალყურს ადევნებენ.

ნიკოლოზ მაჭავარიანი, ა(ა)იპ „კულტურისა და ხელოვნების ცენტრის“ დირექტორი: მამუკა ჭიპაშვილი მრავალმხრივ განათლებული ადამიანი რომაა, ეს ყველასთვის ცნობილია. მან დიდი ხანია სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა საზოგადოებაში. ლამაზი ოჯახის თავკაცი, მზრუნველი მშობელი და მეუღლე, დიდი მეგობარი და უანგაროდ გვერდში მდგომი კაცია. მის დიდ ნიჭიერებაზე მეტყველებს ისიც, რომ შემოქმედია. ის ლექსები, ჩანახატები, ნოველები, რაც მის წიგნებშია თავმოყრილი, ჩვენი დღევანდელობის რეალურ სურათებს გვიჩვენებს. იმედი მაქვს, მამუკა გააგრძელებს თავის სამწერლო მოღვაწეობას და მისი შემოქმედების თაყვანისმცემლებს ბევრჯერ გაგვახარებს.

იზა ვეფხვაძე, რეზო თაბუკაშვილის სახელობის სახალხო ლიტერატურული თეატრის ხელმძღვანელი: მამუკას წიგნი ძალიან საინტერესოდ იკითხება, რადგან თანადროულ მტკივნეულ თემებს იუმორის ჭრილში აჩვენებს მკითხველს და ფიქრიან ღიმილს იწვევს... საინტერესოა თემების მრავალფეროვნება და მიგნებები, რომლებიც გულგრილს ვერ დაგტოვებს. დღეს ფელეტონებს ძალიან ცოტა წერს, ერთი შეხედვით, მარტივი ჟანრი საკმაოდ რთულია, რადგან სარკაზმთან ერთად მარტო რითმა არაა საკმარისი, ფელეტონი პრობლემის სიმწვავეზე არა მარტო უნდა გაცინებ-გართობდეს, უნდა გაფიქრ-გააზროვნებდეს კიდეც... მამუკას კარგად გამოსდის ნოველებისა და მოთხრობების წერაც, რომელიც არაერთხელ მაღალ დონეზე შეაფასა ლიტერატურულ კონკურს „ოდეონის“ ჟიურიმ და საპრიზო ადგილის მფლობელიც რამდენჯერმე გახდა. ძალიან მახარებს ნიჭიერი კაცის კარგი წიგნის გამოცემა... კვლავაც ეწერებოდეს.

ვალერი გოგნაძე, ხარაგაულის მეორე საჯარო სკოლის დირექტორი:

მამუკა მრავალმხრივ ნიჭიერი კაცია. საინტერესოდ წერს და არაჩვეულებრივ კარიკატურებს ხატავს. კარგად მახსოვს მისი შემოსვლა ჩვენი რაიონის საზოგადოებრივ ცხოვრებაში, დაახლოებით 25 წლის წინ ... ენერგიული, განსხვავებული, ახალი იდეებით სავსე ხარაგაულელი კაცი, ახალგაზრდულ საქმეთა დეპარტამენტს ჩაუდგა სათავეში. მჯერა, ბევრჯერ გაუძლო ცდუნებას, რომ უკეთესი ცხოვრების პირობების შესაქმნელად გასცლოდა რაიონს და წასულიყო სხვაგან, მან კი ეს არ გააკეთა, კერა არ გააცია... მისი შემოქმედება ყველა თაობისთვის სასიამოვნოდ წასაკითხია. მას არა მარტო იუმორისტული ჟანრი გამოსდის კარგად, არამედ საკმაოდ სერიოზულ თემებს საინტერსოდ გვაწვდის. მისასალმებელია მისი პათოსი, ენერგია, შემართება. წარმატებებს ვუსურვებ მამუკას და კიდევ ბევრ საინტერესო ამბავს ველით ხარაგაულელები მისგან...

ლელა გუგულაშვილი

ცვლილებები საუკეთესო გზაა ბავშვებისთვის

24 წლის ხარაგაულელი თამარ თხელიძე რამდენიმე თვეა, ლატვიაში, ლიგატნეს მუნიციპალიტეტში, სკოლამდელი განათლების დანესებულებაში ინგლისურ ენას ასწავლის. თამარს დამთავრებული აქვს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ინგლისური ფილოლოგიის სპეციალობით. მაგისტრატურის დასრულების შემდეგ კი საზღვარგარეთ წასვლა გადაწყვიტა და აქტიურად ჩაერთო სხვადასხვა საგანმანათლებლო პროექტში. საიდან მოხვდა ხარაგაულელი გოგონა ლატვიაში და როგორია მისი სამომავლო გეგმები ამის შესახებ პირადად გვესაუბრება.

- თამარ, გვიამბეთ პროექტის შესახებ, რომლის მეშვეობითაც ლიგატნეს მუნიციპალიტეტში აღმოჩნდით?

-ეს არის ERASMUS+ -ის მოხალისეობრივი პროგრამა EVS (European Voluntary Service), რომელიც ევროკავშირის მიერ ფინანსდება და ახალგაზრდებს (17 - დან 30 წლამდე) აძლევს საშუალებას, განავითარონ საკუთარი უნარ-ჩვევები. აღნიშნულის შესახებ მეგობრისგან შევიტყვე და მონაწილეობის მიღება გადავწყვიტე. ყოველივეს თავი წარმატებით გავართვი და პროექტის ფარგლებში დამიფინანსდა მგზავრობის, ბინისა და ცხოვრებისთვის აუცილებელი სხვა ხარჯები. მაქვს 100% - იანი ჯანმრთელობის დაზღვევაც და ყოველთვიური ავანსი. ზოგჯერ ადამიანებს საკუთარი „კომფორტული ზონის“ დატოვება გვაშინებს, მაგრამ რაღაცისადმი მიჩვევა, მიჯაჭვულობა უფრო სახიფათოა, ვიდრე ცვლილებები. ვფიქრობ, ცვლილებები საუკეთესო გზაა გარდაქმნისთვის, პიროვნული განვითარებისთვის. ჩემთვის ამ პროექტში მონაწილეობაც სწორედ ის გზაა, რომელსაც „ახალი მეს“ - კენ მივყავარ.

-ლატვიაში გამგზავრებამდე რა ინფორმაცია გქონდათ ამ ქვეყანაზე და რამდენად გაამართლა თქვენმა მოლოდინმა ?

-ბევრი რამ ვიცოდი, თუმცა ყოველივემ მოლოდინს გადააჭარბა. საოცრად მზრუნველი და ყურადღებიანი ადამიანების გარემოცვაში აღმოვჩნდი. ხშირად ვხვდები მოქალაქეებს, რომლებმაც ქართული სიტყვები იციან, ქართულ ხალხურ სიმღერებს მღერიან და შეყვარებული არიან საქართველოზე. რამდენიმე ხანია, მეც ვმღერი მათ ენაზე და ვღებულობ მონაწილეობას სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებაში. ძალიან მომთმენი ხალხია და არ ახასიათებთ ყველაფრის მიმართ პროტესტი, მხოლოდ საკუთარ თავში განიცდიან, რაც აწუხებთ. ადვილად არ გიმეგობრდებიან, მაგრამ როცა კარგად გაგიცნობენ, ხდებიან უფრო კომუნიკაბელურები და ცდილობენ, თავი საკუთარი ოჯახის წევრად გაგრძნობინონ. მკაცრად იცავენ ქუჩაში მოძრაობის წესებს და საგზაო შემთხვევების მინიმალური მაჩვენებელი აქვთ. რიგაში მიუღებელია ცათამბჯენები და მაღალსართულიანი შენობები. სულ რამდენიმე მაღალი შენობაა და სწორედ მათი აშენება აღმოჩნდა ლატვიელებისთვის ყველაზე დიდი პროტესტის მიზეზი. ქვეყნის ფართობის ნახევარი ტყეს უჭირავს. ზემოდან რიგაც კი მწვანედ ჩანს, მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობის თითქმის ნახევარი აქ ცხოვრობს. რა თქმა უნდა, ხე-ტყეს აქტიურად იყენებენ, მაგრამ მოჭრილი ხეების ნაცვლად აუცილებლად რგავენ ახალს. საოცრად უვლიან გარემოს, ვერსად შეხვდებით უწესრიგობას. ქალის და მამაკაცის როლი თითქმის თანაბრად არის განაწილებული, როგორც ოჯახში, ისე გარეთ. მამაკაცებისთვის სამზარეულო ისეთივე ნაცნობი კუთხეა, როგორც ქალებისთვის. ტრამვაის უმეტესად ქალები მართავენ, მათ შეხვდებით ასევე ავტობუსებშიც. ლატვიურ ოჯახებში გაურკვევლობებისას, უმეტეს შემთხვევაში, როგორც წესი, მამაკაცი იხდის ბოდიშს, თუნდაც ქალი ცდებოდეს. ერთმანეთს უფრთხილდებიან, ძალიან ბევრს შრომობენ და, შესაბამისად, გართობაც ძალიან უყვართ.

-რა გამოწვევების წინაშე აღმოჩნდი, როდესაც უცხო გარემოში მოხვდი და გაგიჭირდა თუ არა ადაპტაცია?

-პირველ რიგში, უნდა აღვნიშნო აქაური კლიმატი. ჰავა ძალიან ნესტიანია და როდესაც ჩამოვედი, ორი თვე თითქმის ავად ვიყავი. ზამთარში ძალიან მალე ღამდება, ოთხ საათზე თითქმის ბნელა და დილის ცხრა საათამდე არ თენდება, თუმცა ამის გამო დეპრესია არ დამმართნია. უბრალოდ, გარეთ გასვლისას ძალიან მციოდა, რამდენჯერმე წამწამებიც კი გამეყინა. თუმცა მივხვდი, რომ შემიძლია გავუძლო 28 გრადუს ყინვასაც. რაც შეეხება ზაფხულს, ძალიან ცხელია, ტემპერატურა თითქმის 38 გრადუსამდეა. კლიმატზე არანაკლები გამოწვევა იყო ბავშვებთან მუშაობა, უნდა მესწავლებინა ინგლისური პატარებისთვის, რომელთა ენაც არ ვიცოდი. ისე გამოვიდა, რომ ერთმანეთს ვასწავლით, მე მათ - ინგლისურს, ისინი მე - ლატვიურს. ლატვიელი ბავშვები საოცრად თბილები არიან. თვალებს მინათებს მათი სიტყვები, თუ როგორ ცდილობენ, რაღაცას ისე მოყვნენ, რომ გავიგო. საღამოობით, ქუჩაში შეხვედრისას, ჩემს სახელს ყვირიან, გამორბიან ჩასახუტებლად და გამვლელები გაოცებით იყურებიან. ერთ-ერთმა მითხრა, ნეტავ ჩემი და იყო და სახლშიც მასწავლიდეო ეზოში როცა გავდივართ, ჩემს ხელებზე ყველაზე მეტი ხელია „ასხმული,“ რადგან ერთმანეთს ეჩხუბებიან, ვინ ჩამკიდებს ხელს, და ამიტომ ვცდილობ, გული არავის დავაწყვეტინო. მათი ნათქვამი „mīlu tev l “ (მიყვარხარ) ყველაფერზე მეტია... არ ვიცი, რით დავიმსახურე ამხელა სიყვარული და სითბო, რომელსაც უანგაროდ მჩუქნიან..

- რა განსხვავებაა საქართველოსა და ლატვიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებს შორის?

-აქ ბავშვები სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში წერა-კითხვასთან ერთად სწავლობენ მათემატიკას, გეოგრაფიას და სხვა მნიშვნელოვან საგნებს. სულ პატარებიც კი თავისით იცვამენ და თავისი ხელით მიირთმევენ საჭმელს. კონცერტები მშობლების ჩართულობით ეწყობა. ასევე, თუ ვინმე სკოლაში მისვლისას სასწავლო პროგრამას ვერ დაძლევს, ბაღში დაბრუნება კვლავ შეუძლია. შენობაში არსად არ არის ვიდეოკამერა დამონტაჟებული, მაგრამ მაინც წესრიგია, არავინ არაფერს აფუჭებს, არავინ ჩაგრავს ბავშვს და არავინ იპარავს. ძალიან უშუალო დამოკიდებულებაა დირექტორსა და თანამშრომლებს შორის. ბავშვებისადმი განსაკუთრებულად ფრთხილი მიდგომა აქვთ, ხმასაც კი არავინ უწევს, თუნდაც ძალიან დააშავოს რომელიმემ. სკოლაში საკლასო ოთახები საგნების მიხედვით აქვთ და არა კლასების ნუმერაციით. შესაბამისად, მოსწავლეებს არ უწევთ მთელი დღე ერთ ოთახში გაატარონ. დასვენებების დროს მთელ შენობაში მუსიკა ისმის.

- უცხო ქვეყანაში თქვენმა შვიდთვიანმა ცხოვრებამ რა გამოცდილება შეგმატათ?

-უცხოენოვანი ბავშვებისთვის სწავლებას ბევრ სირთულესთან მიჰყავხარ, მაგრამ სწორედ სირთულეები გაძლევს დიდ გამოცდილებას. აქაურ და სხვა ქვეყნებიდან ჩამოსულ მოხალისეებთან ურთიერთობამ მათი კულტურის გაცნობასთან ერთად, საკუთარ ქვეყანაზეც უფრო მეტი მასწავლა. შენზეა დამოკიდებული, თუ როგორი წარმოდგენა შეექმნებათ საქართველოზე. ხშირად მიწევს მოგზაურობა სხვა ქვეყნებშიც. შვედეთი, ისლანდია, პოლონეთი, ლიტვა, იტალია და ნორვეგია მოვინახულე.

-რას გვეტყვით თქვენს სამომავლო გეგმებზე?

-ამ პროექტის შემდეგ მომავალზე ზოგჯერ ვერ ვფიქრობ, რადგან EVS არის გამოცდილება, რომლის იქითაც ფიქრი აღარ გინდა. გარდა ამისა, არ მიყვარს წინასწარ რაიმეს დაგეგმვა, თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მიზანი არ გამაჩნია. უბრალოდ, შეიძლება პროექტის დამთავრებამდე ბევრჯერ შევიცვალო აზრი, ამიტომ დეტალების დაკონკრეტებაზე თავს შევიკავებ. მხოლოდ იმას გეტყვით, რომ უმოქმედობას არ ვაპირებ და მიღებულ გამოცდილებას აუცილებლად გამოვიყენებ ჩემი ქვეყნის წინსვლისთვის.

ეკა შავიძე

რესურსცენტრში გამართულ თათბირზე სკოლების ინფრასტრუქტურის მოწესრიგებაზე ისაუბრეს

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო რესურსცენტრში (უფროსი მარინე ვეფხვაძე) დირექტორებთან თათბირი გაიმართა. შეხვედრას მერის პირველი მოადგილე არჩილ მაღრაძე ესწრებოდა. თათბირის მთავარი თემა სკოლებში არსებული ინფრასტრუქტურული პრობლემები გახლდათ. როგორც არჩილ მაღრაძემ განმარტა, მერიასა და განათლების სამინისტროს შორის ურთიერთთანამშრომლობის

მემორანდუმი გაფორმდა, რაც ითვალისწინებს საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას. „მერიის შესაბამისი სამსახური ყველა სასწავლო დაწესებულებაში ადგილზე შეისწავლის შექმნილ მდგომარეობას. განისაზღვრება პრიორიტეტები, გადაეგზავნება ინფრასტრუქტურის სამინისტროს და ეტაპობრივად დაიწყება სკოლების რეაბილიტაცია. მოგიწოდებთ დირექტორებს, სკოლებში არსებული პრობლემების შესახებ წერილობით მომართოთ მერიას“,-დასძინა ბატონმა არჩილმა.

ამავე თათბირზე პედაგოგებს, რომლებმაც გაიარეს ტრენინგები „ბავშვთა მიმართ ძალადობა - გადამისამართების პროცედურები ბავშვთა დაცვის საჭიროების შემთხვევაში“ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურისაგან სერტიფიკატები გადაეცათ.

თამარ მაღრაძე

ანსამბლი „უბისი“ ფოლკლორის საერთაშორისო ფესტივალის ლაურეატია

ხარაგაულის კულტურის ცენტრთან არსებული ქორეოგრაფიული ანსამბლი „უბისი“ არაერთი საერთაშორისო ფესტივალის მონაწილე და გამარჯვებულია. მიმდინარე წელს ქობულეთში გამართულ ფოლკლორის საბავშვო და ახალგაზრდულ ფესტივალზე „მომავალი ჩვენია“ ანსამბლმა ორი ცეკვა - „ქალ-ვაჟთა მთიულური“ და „აფხაზური“ წარადგინა და დიდი მოწონებაც დაიმსახურა. ჟიურის გადაწყვეტილებით, „უბისის“ მოცეკვავეები საუკეთესო შესრულებისთვის დიპლომებით დაჯილდოვდნენ და ფესტივალის ლაურეატები გახდნენ, ხოლო ქორეოგრაფებს, ელისო და ზაზა ლურსმანაშვილებს, ქართული კულტურის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის ქართული კულტურის დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება მიენიჭათ.

ფოლკლორის საერთაშორისო ფესტივალ-„მომავალი ჩვენია“, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ ასევე საზღვარგარეთ მოღვაწე ვოკალური, საესტრადო, ფოლკლორული და ქორეოგრაფიული ანსამბლები, საქართველოს ქორეოგრაფიული ეროვნული ცენტრის და გაზეთ „საქართველოს გეოგრაფიის“ ორგანიზებით ჩატარდა და მისი მიზანი, ქართული და უცხოური ცეკვების პოპულარიზაცია გახლდათ.

როგორც ელისო ლურსმანაშვილი განმარტავს, „უბისი“, დაახლოებით 15 წელია, ქობულეთის საერთაშორისო ფესტივალზე იღებს მონაწილეობას და ყოველთვის საპრიზო ადგილების მფლობელია. „სასიხარულოა, როცა შრომა სათანადოდ გიფასდება. ამ შემთხვევაში მოტივაცია უფრო მაღალია და მაქსიმალურად ცდილობ, ღირსეულად წარდგე მაყურებლის წინაშე. მინდა, მადლობა გადავუხადო ანსამბლის თითოეულ წევრს, მათ მშობლებს, რომლებიც ყოველთვის გვერდით გვიდგანან. მათი ხელშეწყობის გარეშე წარმატების მიღწევა შეუძლებელია“, - დასძინა ქალბატონმა ელისომ.

აღსანიშნავია, რომ „უბისი“ მიწვეულია ბულგარეთის საერთაშორისო ფესტივალზე ქალაქ ნესებრიში. „ბედნიერების პლანეტა“ პირველ აგვისტოს დაიწყება და ექვსი დღის განმავლობაში მრავალი ქვეყნის ანსამბლს უმასპინძლებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2016 წელს „უბისი“ აღნიშნულ ფესტივალზე გრან-პრის მფლობელი გახდა.

„ბულგარელებს ცეცხლოვანი ცეკვები ძალიან მოსწონთ და ამიტომ ფესტივალზე „ქალ- ვაჟთა მთიულურით“ წარვდგებით. 27 ივლისს გავდივართ ხარაგაულიდან და 8 აგვისტოს დავბრუნდებით. ანსამბლის სახელით, მინდა მადლობა გადავუხადო მუნიციპალიტეტის მერს, ბატონ ნიკოლოზ თოფურიძეს, რომელიც გვერდით დაგვიდგა და დახმარება გაგვიწია. ეს არის ადამიანი, რომელიც მუდამ ზრუნავს ხარაგაულის კულტურული ცხოვრების განვითარებისთვის. 7000 ლარით დაფინანსდა ადგილობრივი ბიუჯეტიდან ბავშვთა მგზავრობის ხარჯები. იმედი გვაქვს, წელსაც ისევე ვასახელებთ ხარაგაულს და წარმატებული დავბრუნდებით, როგორც 2016 წელს“. - აცხადებს ელისო ლურსმანაშვილი.

ლელა გუგულაშვილი

საიუბილეო წელთან დაკავშირებით „ოდილამ“ არტ-გენის დახურვის ღონისძიებაში მიიღო მონაწილეობა

მიმდინარე წელს ხარაგაულის უხუცესთა ანსამბლ „ოდილას“ დაარსებიდან 30 წელი შეუსრულდა. საიუბილეო წელთან დაკავშირებით ანსამბლმა ხარაგაულის მერის, ნიკოლოზ თოფურიძის ინიციატივით, ფესტივალ არტ-გენის ფოლკლორული ნაწილის დახურვის ცერემონიალში მიიღო მონაწილეობა.

ანსამბლის წევრებმა სამი სიმღერა შეასრულეს და, როგორც ყოველთვის, მაყურებლის ოვაცია და მქუხარე აპლოდისმენტები დაიმსახურეს.

„ოდილამ“, რომელიც საქართველოში კიცხის ფოლკლორული ანსამბლის სახელწოდებითა ცნობილი, არაერთი უძველესი სიმღერა აღადგინა. მათ შორის, ანსამბლის წევრებმა, სულიკო ციმაკურიძის მეთაურობით, გააცოცხლეს ისეთი ძველისძველი იმერული ხალხური სიმღერები, რომელთა უმეტესობა თითქმის დავიწყებას იყო მიცემული.

„ოდილას“ არტ-გენის ფესტივალზე მონაწილეობის 10 -წლიანი ისტორია აქვს. ბოლო რამდენიმე წელია, ანსამბლს ფესტივალში მონაწილეობა არ მიუღია. წელს ტრადიცია აღდგა და მერიის კულტურის სამსახურისა და კულტურისა და ხელოვნების ცენტრის ხელშეწყობით უხუცესთა ანსამბლი კვლავ წარდგა არტ-გენის მაყურებლის წინაშე.

აქვე დავამატებთ, რომ ბოლო პერიოდში გავრცელებული ინფორმაცია, თითქოსდა ანსამბლს დაფინანსება შეუწყდა, სიმართლეს არ შეესაბამება. „ოდილა“ მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ-ებში განხორციელებული რეორგანიზაციის შემდეგ დროებით გადავიდა პროგრამულ დაფინანსებაზე, რითაც მათი ყოველთვიური ანაზღაურება დროებით სპეციალური პროგრამული დაფინანსებით შეიცვალა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უკვე გადაწყდა, მათი ყოველთვიური დაფინანსება სექტემბრიდან აღდგება, ამის შესახებ „ოდილას“ ყველა წევრი ინფორმირებულია.

ბავშვთა ძალადობის შესახებ მორიგი შეხვედრა გაიმართა

ცენტრალური ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში ა/ო „ნაბიჯი ხარაგაულის“ ხელმძღვანელის, რუსუდან გურგენიძის, ინიციატივით, ბავშვთა ძალადობის შესახებ მორიგი საინფორმაციო შეხვედრა ჩატარდა. ბავშვთა და მოზარდთა ფსიქოლოგიური პრობლემების შესახებ ისაუბრა ფსიქოლოგმა და ა/ო „პირველი ნაბიჯის“ კონსულტაციისა და ინტენვენციის ცენტრის ხელმძღვანელმა რუსუდან ბოჭორიშვილმა.

როგორც ბოჭორიშვილმა განმარტა, ბავშვის სრულფასოვნად ჩამოყალიბებისათვის საკმარისი მხოლოდ მატერიალური კეთილდღეობა არაა. მშობლებმა და პედაგოგებმა უნდა იცოდნენ დისციპლინისა და დასჯის განსხვავება. „ბავშვი დაბადებიდან არის პიროვნება და ჩვენ პატივი უნდა ვცეთ მას. დისციპლინა არ ნიშნავს, რომ პატარა უნდა დავსაჯოთ ამა თუ იმ

მეთოდით. საჭიროა ზომიერი კონტროლი და ჰარმონია,“ - განაცხადა ა/ო „პირველი ნაბიჯის“ კონსულტაციისა და ინტენვენციის ცენტრის ხელმძღვანელმა.

შეხვედრის მსვლელობისას აუდიტორიასა და ფსიქოლოგს შორის დისკუსია გაიმართა, რომლის მთავარ თემასაც, ბავშვთა განვითარებაზე მოქმედი ფაქტორები წარმოადგენდა. სტუმრებმა მათთვის საინტერესო კითხვებზე ამომწურავი პასუხები და რეკომენდაციები მიიღეს. შეხვედრას მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი ნანა კიკნაძე, საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გივი თხელიძე, სპეცპედაგოგები და ადგილობრივი თვითმმართველობის სხვა ნარმომადგენლები ესწრებოდნენ.

თამარ მაღრაძე

ფეხბურთის მოყვარულთა შეხვედრა „ეიფელში“ ჩატარდა

19 ივლისს კაფე „ეიფელში“ ფეხბურთის მოყვარულთა შეხვედრა ჩატარდა. საღამოს ორგანიზებას მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური უწევდა. ამავე სამსახურის თანამშრომელმა უჩა ცხადაძემ ფეხბურთის მოყვარულებს საინტერესო ვიქტორინა შესთავაზა.

სტუმრები ორ გუნდად განაწილდნენ -„დიეგო“ და „გივის ოთხეული.“ სპორტული ვიქტორინა „გივის ოთხეულის“ გამარჯვებით დასრულდა და გუნდს ფასიანი საჩუქარი გადაეცა. შეხვედრაზე ასევე დაჯილდოვდა ყველაზე გამოცდილი გულშემატკივრის სტატუსით ნუგზარ კიკნაძე და გულმხურვალე გულშემატკივრობისათვის - ნინო კაპანაძე.

დასასრულს ფეხბურთის ფანებმა მადლობა გადაუხადეს ორგანიზატორებს საინტერესო და სასიამოვნო საღამოსათვის.

მადლობა საავადმყოფოს მედპერსონალს

ჩემი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო რამდენიმე დღე ხარაგაულის შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრში“ (დირექტორი ლაშა ელბაქიძე) მომათავსეს. დავიწყებ იქიდან, რომ ამ კლინიკაში ნამდვილად არის პაციენტების ინტერესებზე ორიენტირებული მომსახურება, საოცარი გარემო და არაჩვეულებრივი მედპერსონალი. რაც მთავარია, დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები, რომელიც უმთავრესია პაციენტისათვის. ნამდვილად გამაოცა ექიმების მაღალპროფესიონალიზმმა და დაუღალავმა შრომამ. მათ უდიდესი ყურადღება და მზრუნველობა გამოიჩინეს ჩემ მიმართ. მათი დამსახურებით ამ ეტაპზე თავს კარგად ვგრძნობ და ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია. დიდი მადლობა თითოეულ ექიმს, ექთანსა და სანიტარს. ჯანმრთელობას, წარმატებასა და დიდ პროფესიულ წინსვლას ვუსურვებ კლინიკის ხელმძღვანელობასა და მედპერსონალს. მადლობა მინდა, გადავუხადო ასევე ხარაგაულის მერიას, რომელთა თავდაუზოგავი შრომით მუნიციპალიტეტში თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი კლინიკა აშენდა და ადგილობრივებს რაიონიდან გაუსვლელად შეგვიძლია, მივიღოთ მაღალი ხარისხის სამედიცინო მომსახურება.

სოფელ ლამეში მცხოვრები
ᲔᲗᲘᲠ ᲛᲐᲜᲯᲐᲕᲘᲫᲔ

ორგანიზაციებს შორის მინი ფეხბურთის ჩემპიონატი დაიწყო

მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურისა (უფროსი ირინე ჩხეიძე) და ა(ა)იპ „სპორტისა და შიდა ტურიზმის ცენტრის“ (დირექტორი გრიგოლ ჭიპაშვილი) ინიციატივით, ორგანიზაციებს შორის მინი ფეხბურთის ჩემპიონატი დაიწყო. შეჯიბრი ჯგუფური პრინციპით მიმდინარეობს და მასში რვა ორგანიზაცია მონაწილეობს. მატჩის პირველ ეტაპზე დასუფთავებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება კულტურისა და ხელოვნების ცენტრს შეხვდა და თამაში 0:0 დასრულდა. ამავე დღეს გაიმართა შეჯიბრი მუნიციპალიტეტის მერიისა და სპორტისა და შიდა ტურიზმის ცენტრის გუნდებს შორის, რომელშიც მერიის გუნდი ანგარიშით 4:5 დამარცხდა. რაც შეეხება ხარაგაულის სატყეო უბნისა და სახანძრო-სამაშველო სამსახურების შეხვედრას, ანგარიში ფრედ (4:4) დასრულდა.

პაპაკი ვასაძის სახელობის ფოლკლორის სახელოვნებო სასწავლებელი აბიტურიენტთა მიღებას აცხადებს

ქუთაისის აკაკი ვასაძის სახელობის ფოლკლორის სახელოვნებო სასწავლებელი 2018—2019 სასწავლო წლისათვის აცხადებს მიღებას საბიბლიოთეკო, ქორეოგრაფიულ, საგუნდო-სადირიჟორო და თეატრალურ ფაკულტეტებზე. განათლების მიღება საშუალო და ცხრა კლასდამთავრებულ მოსწავლეებს აპრობირებული და სრულყოფილი პროგრამით შეეძლებათ და ორენოვან დიპლომს მიიღებენ. სასწავლებელში საბუთების მიღება 20 ივნისიდან 25 ივლისამდე იქნება შესაძლებელი. სწავლა უფასოა.

მისამართი: ქ. ქუთაისი, თამარ მეფის №105;

ტელეფონი: 24 -67- 91 ; 24 -67-99.

გამომცემელი ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრი“
მის: ხარაგაული, 9 აპრილის ქ.№15, ტელ: **22-32-25**; ტირაჟი 1500 ცალი
დირექტორი: ეკა შავიძე; ტელ.: 595-51-98-12